პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

27 მარტი, 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ სახელწოდების შეცვლის
ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2024 წლის 19 მარტის სხდომის გადაწყვეტილებით, ამ ფრაქციის წესდებაში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეეცვალა სახელი და ეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმა“.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (7 წევრი):

ა) კილაძე გიორგი;

ბ) მანაგაძე გაგა;

გ) ხურციძე ქეთევან;

დ) ქვაჩაკიძე რომან;

ე) ბიბილეიშვილი ნინო;

ვ) ბახტაძე დავით;

ზ) მესხი თედო.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 19 მარტიდან:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის უფლებამოსილება შეუწყდა საკრებულოს წევრს, **გიორგი კილაძეს** ;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება შეუწყდათ საკრებულოს წევრებს: **გაგა მანაგაძეს, ქეთევან ხურციძესა** და **დავით ბახტაძეს.**

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარედ არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, **გიორგი კილაძე,** რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **ქეთევან ხურციძე** და **გაგა მანაგაძე,** რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ქორქოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია